ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №65

31.05.2021 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
17:00 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. დავით რურუა - კომისიის წევრი;
4. მიხეილ მესხი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-135[2] მუხლებით, 135[3] მუხლის პირველი ნაწილით, 135[4] და 135[5] მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 18 მაისის №81-50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(1203211401-03; 20.05.2021);**

2. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032114860-03; 28.05.2021).**

სხდომას თავმჯდომარეობდა - **შალვა ოგბაიძე.**

მომხსენებელი:

- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

1. **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-135[2] მუხლებით, 135[3] მუხლის პირველი ნაწილით, 135[4] და 135[5] მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 18 მაისის №81-50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (1203211401-03; 20.05.2021):**

ვ.აბულაძე - 2020 წლის 17 ივლისს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესულმა ცვლილებებმა განაპირობა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ფუნქციებში ცვლილებები. კერძოდ, სააგენტოს დაემატა ახალი სტრუქტურული ერთეული, რომლის ფუნქციებად განისაზღვრა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-13 და მე-15 ნაწილებით და 135[1]–135[5] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გამოწერა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული პროცედურების განხორციელება.

ამასთან, სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მონიტორინგის სამსახურს დაემატა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 134-ე მუხლით (მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებში) და 135[3] მუხლის მეორე ნაწილით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გამოწერა.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით, კამერის გამაფრთხილებელი ნიშანი განთავსდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების ადგილებზე.

უფრო კონკრეტულად: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 18 მაისის №81-50 დადგენილებაში შედის ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების ადგილი აღჭურვილი უნდა იყოს ამ წესის დანართი 9-ით განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კამერის გამაფრთხილებელი ნიშნით.“

აღნიშნული გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსდება და კამერები ჩაირთვება 1 ივნისიდან, თუმცა ჯარიმის გამოწერა ერთი კვირის განმავლობაში არ მოხდება.

ვინაიდან „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-135^2 მუხლებით, 135^3 მუხლის პირველი ნაწილით, 135^4 და 135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 18 მაისის №81-50 დადგენილება“ უნდა ამოქმედდეს 2021 წლის 1 ივნისიდან, ზეპირსიტყვიერად წარმოგიდგენთ ინიციატივას, რომ ცვლილება განხორციელდეს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 134-ე მუხლით (მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებში), 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 135^1–135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში, ნაცვლად „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის №81-50 დადგენილებისა“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135 -135[2] მუხლებით, 135[3] მუხლის პირველი ნაწილით, 135[4] და 135[5] მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 18 მაისის №81-50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (1203211401-03; 20.05.2021) წარმოდგენილი შესწორებების გათვალისწინებით განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

2. **„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032114860-03; 28.05.2021):**

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის თანახმად, „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 30/12/2016, სარეგისტრაციო კოდი: 310060000.35.101.016353) შედის ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის მე-8 მუხლს, მე-5 პუნქტის შემდეგ, ემატება შემდეგი შინაარსის 5[1]- 5[4] პუნქტები:

5[1]. საქართველოს მოქალაქეს, რომელიც არ იმყოფება ან იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე და გარკვეული მიზეზების გამო ვერ ახერხებს რეგისტრაციას, უფლება აქვს მისი მინდობილი პირის მეშვეობით, სანოტარო წესით დამოწმებული

დოკუმენტის საფუძველზე, მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ რეგისტრაციის თხოვნით, რათა ისარგებლოს ამ წესის მე-3 მუხლის 3^2 პუნქტით გათვალისწინებული უფასო პარკირების უფლებით.

5^2. უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს უფლება აქვს მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ რეგისტრაციის თხოვნით (რომელსაც უნდა დაურთოს პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტი (სათანადო წესით დამოწმებული თარგმანი), რომლის რეკვიზიტები შესაბამისობაში იქნება საჯარო რეესტრიდან ამონაწერში მითითებულთან), რათა ისარგებლოს ამ წესის მე-3 მუხლის 3^2 პუნქტით გათვალისწინებული უფასო პარკირების უფლებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი არ იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე მისი მინდობილი პირის მეშვეობით ისარგებლოს ამ უფლებით აპოსტილით დამოწმებული დოკუმენტის საფუძველზე.

5^3. საქართველოს მოქალაქე არასრულწლოვან პირს უფლება აქვს ორივე კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით, კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის საფუძველზე, მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ რეგისტრაციის თხოვნით, რათა ისარგებლოს ამ წესის მე-3 მუხლის 3^2 პუნქტით გათვალისწინებული უფასო პარკირების უფლებით. ერთი-ერთი მშობლის თანხმობა საკმარისია, თუ: მეორე მშობელი გარდაცვლილია ან უგზო-უკვლოდ დაკარგულია, მეორე მშობელი იძებნება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, მეორე მშობლის მძიმე ავადმყოფობის გამო შეუძლებელია ნების გამოხატვა, რაც დასტურდება შესაბამისი ცნობით ან არასრულწლოვანი მარტოხელა მშობლის შვილია. აღნიშნულის შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები.

5^4. იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილია პირი, რომელსაც შეეძლო ესარგებლა ამ წესის მე-3 მუხლის 3^2 პუნქტით გათვალისწინებული უფასო პარკირების უფლებით და მისი სამკვიდრო არ არის გახსნილი, დაინტერესებულ პირს მესაკუთრის სახელზე შედგენილი გარდაცვალების მოწმობის და სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადების წარდგენის თაობაზე მოწმობის საფუძველზე, მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ რეგისტრაციის

თხოვნით, რათა სამკვიდროს გახსნამდე ისარგებლოს ამ წესის მე-3 მუხლის 3^2 პუნქტით გათვალისწინებული უფასო პარკირების უფლებით.

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის“ მე-3 მუხლის 3^2 პუნქტის თანახმად:

3^2. ფიზიკურ პირს, რომელსაც მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად საკუთრებაში აქვს უძრავი ქონება, უფლება აქვს ამ უძრავი ქონებიდან 100 მეტრის რადიუსში, ხოლო მიწისქვეშა პარკირების შემთხვევაში 250 მეტრის რადიუსში არსებულ ზონალურ პარკირების ადგილზე, იმ დროს როდესაც ზონალურ პარკირების ადგილზე პარკირება ფასიანია, ისარგებლოს უფასო პარკირებით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით: (14.08.2020 N62-92)

ა) თითოეული მიწის ნაკვეთის საკუთრებისას - მის მიერვე წინასწარ განსაზღვრულ ორ სატრანსპორტო საშუალებაზე (თანასაკუთრების შემთხვევაში, ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობს თითოეული მესაკუთრე);

ბ) თითოეული შენობა-ნაგებობის საკუთრებისას - მის მიერვე წინასწარ განსაზღვრულ ორ სატრანსპორტო საშუალებაზე.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებისათვის გამარტივდება ზ/ა უფასო პარკირების უფლებით სარგებლობა. კონკრეტულად, საქართველოს მოქალაქეები რომლებიც არ იმყოფებიან ან იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე და გარკვეული მიზეზების გამო ვერ ახერხებენ რეგისტრაციას, უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოს მოქალაქე არასრულწლოვანი პირები, ასევე მემკვიდრეობის შემთხვევაში, როდესაც სამკვიდრო არ არის გახსნილი, დაინტერესებული პირები, კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე, უფასო პარკირების უფლების მოპოვების მიზნით, მიმართავენ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- სატრანსპორტო საკითხთა კომისიამ მიმდინარე წლის 31 მაისის სხდომაზე იმსჯელა და სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით მიზანშეწონილად მიიჩნია „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032114860-03; 28.06.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე